

მსესხებლის ქონებისა და მსესხებლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევის შესახებ



*წინამდებარე დაზღვევის პირობები ვრცელდება 2023 წლის 06 თებერვლიდან სს „ბაზისბანკსა“ და
ფიზიკურ პირს/მსესხებელს შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებებზე*

მსესხებლის ქონების და მსესხებლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევის პირობები

- **მზღვეველი:** სს „ბზ დაზღვევა“ (ს/ნ 406232214, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #1.)
- **დამზღვევე/მოსარგებლე:** სს „ბაზისბანკი“ (ს/ნ 203841833)
- **მსესხებელი** - ფიზიკური პირი, რომელსაც დამზღვევთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხელშეკრულება ან პირი, რომელსაც გაფორმებული ჰქონდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“-სთან საკრედიტო ხელშეკრულება და აღნიშნულის გამო მისი სიცოცხლე ან მისი გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკი ან/და საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგანი დაზღვეული იყო სს „არდი დაზღვევა“-ს (საიდენტიფიკაციო #404858631) მიერ და სს „ბაზისბანკი“-სა და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს (საიდენტიფიკაციო #202906427) შორის 2022 წლის განმავლობაში გაფორმებული აქტივისა და პასივის გადაცემის ხელშეკრულებების (შემდგომში „გადაცემის ხელშეკრულება“) გაფორმების გამო შეუწყდა ხსენებული დაზღვევა. საკრედიტო ხელშეკრულებით შესაძლოა უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენდეს მის და/ან მესამე პირის საკუთრებაში ან მართლზომიერ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება;
- **დაზღვევის ხელშეკრულების ტიპი:** მსესხებლის ქონებისა და მსესხებლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკის დაზღვევა (სიცოცხლის დაზღვევა)
- **ფინანსური ხარჯი,** გარდა სადაზღვევო პრემიისა: დაზიანებული ქონების შენახვის ხარჯი, ანაზღაურებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე;
- **სადაზღვევო თანხა/პასუხისმგებლობის ლიმიტი:**
 - **ქონების დაზღვევის რისკზე** - კონკრეტული სადაზღვევო შეთხვევისა და ქონების სადაზღვევო თანხა განისაზღვრება დამზღვევის მიერ გაცემული სესხის ოდენობის შესაბამისად. მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი განისაზღვრება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისთვის არსებული მსესხებლის მიმდინარე ვალდებულების ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ობიექტის საბაზრო ღირებულება ნაკლებია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისთვის დამზღვევთან არსებული/დარჩენილი სასესხო ვალდებულების ოდენობაზე, სადაზღვევო თანხად განისაზღვრება დაზღვეული ქონების საბაზრო ღირებულება (აღნიშნული თანხა არ მოიცავს პირგასამტეხლოებს/ჯარიმებს/პროცენტებს).
 - **მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევისას** - მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი განისაზღვრება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის მომენტისთვის არსებული

მსესხებლის მიმდინარე ვალდებულების ოდენობით (აღნიშნული თანხა არ მოიცავს პირგასამტეხლობებს/ჯარიმებს/პროცენტებს).

I ნაწილი: სიცოცხლის დაზღვევა

➤ სიცოცხლის დაზღვევის წესი:

- ✓ მსესხებლის/დაზღვეულის ასაკი დაზღვევის მომენტისთვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები.
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი განეკუთვნება 18 წელზე ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა ნაკლებია ან ტოლია 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარისა, მზღვეველის მიერ მსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა განხორციელდება ავტომატურ რეჟიმში,
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი განეკუთვნება 18 წელზე ზემოთ ასაკობრივ კატეგორიას და ამავდროულად სადაზღვევო თანხა მეტია 100,000.00 (ასი ათასი) აშშ დოლარზე, მზღვეველის მიერ მსესხებლის გარდაცვალების რისკზე დაზღვევა განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მზღვეველთან წარმოდგენილი იქნება მსესხებლის მიერ შევსებული განაცხადი, და ასევე, ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტი (მათ შორის, სამედიცინო დოკუმენტაცია), რაც ხელს შეუწყობს მზღვეველს დაადგინოს მსესხებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. მზღვეველის მიერ დამატებით შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას კონკრეტული სამედიცინო კვლევების ჩატარება.

➤ სადაზღვევო დაფარვა: სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალება.

დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად.

*** იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით ან გირავნობით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე (ანაზღაურების ნებისმიერი ოდენობა) ან არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხებიდან გამომდინარე მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 80,000.00 (ოთხმოცი ათასი) ლარს, არ იფარება/არ ანაზღაურდება სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები (გამონაკლისები):

- თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის ალკოჰოლური/ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ მსესხებელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

- თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ეს ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;
- თუ გარდაცვალება შედეგია მსესხებლის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;
- თუ დაზღვევამდე დიაგნოსტირებულია რაიმე დაავადება (მათ შორის: ცე ჰეპატიტი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე, სისტემური დაავადება), რომელიც გვევლინება გარდაცვალების მიზეზად;
- დაზღვევა არ ვრცელდება პირებზე, რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა ან რომელნიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.
- როდესაც გარდაცვალების მიზეზი უცნობია.
- ომის ან ომის მსგავსი ოპერაციების დროს (გამოცხადებული და გამოუცხადებელი ომი),
- ტერორისტული აქტების, მათ შორის, შეიარაღების გამოყენება, რაიმე სახის ასაფეთქებელი ან ბირთვული ხელსაწყოების აფეთქება, რაიმე მყარი, თხევადი ან აიროვანი ქიმიური აგენტის ან/და ბიოლოგიური აგენტის ემისია, გამოყოფა, გაფრქვევა, გაშვება ან გაჟონვა, მათ შორის, ჰაერის ან მიწოდებული წყლის ან სურსათის მოწამვლა და შენობების და სატრანსპორტო საშუალებების განზრახ განადგურება. გამონაკლისი ვრცელდება ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც განხორციელებულია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელის შეშლის, ჩახშობის მიზნით, ან ასეთ აქტთან დაკავშირებულ სხვა მოქმედებებზე.
- აქტიური მონაწილეობა ომში ან ომის მსგავს ოპერაციებში.
- მაიონიზებული რადიაციით ან ბირთვული საწვავის რადიაციით ან ბირთვული საწვავის აალების შედეგად გამოყოფილი ბირთვული ნარჩენების ან ნებისმიერი

ფეთქებადი ბირთვული მოწყობილობის ან ბირთვული კომპონენტის რადიოაქტიური, მომწამვლელი, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო თვისებების შედეგად დაზინძურება.

- ნებისმიერი ზარალი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია გამოძალოვით, გატაცებით და გამოსასყიდის გადახდით ან დაზღვეულის უკანონოდ დაკავებით ან ნებისმიერი საჰაერო ხომალდის, ავტომობილის, მატარებლის ან გემის გატაცებით, რომლითაც მგ ზავრობს დაზღვეული.
- დაზღვეული პირის მონაწილეობა პროფესიონალურ, ექსტრემალურ, ან/და რისკის შემცველ სპორტის სახეობებში (კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია, აერონავტიკა, პარაშუტით ხტომა, პარაგლაიდინგი, ჯომარდობა, წყალში ხტომა, ყვინთვა ან ცურვა სასუნთქი მოწყობილობით, დოდი, სპორტული რბოლა სწრაფი კატერებით, მანქანებით ან სხვა ძრავიანი საშუალებით, საბრძოლო ხელოვნება), როდესაც მონაწილეობა აღნიშნულ სახეობებში იწვევს დაზღვეული მოვლენის ხდომილებას;
- კონკრეტული მსესხებლის დაზღვევიდან პირველი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში დამდგარი/დიაგნოსტირებული კრიტიკული მდგომარეობებით/დაავადებებით გამოწვეული გარდაცვალება (მიუხედავად გარდაცვალების თარიღისა).

*** ამასთან, იმ მსესხებლებზე, რომლებსაც გაფორმებული აქვთ დამზღვევთან არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება, ან ე.წ. „ოვერდრაფტის“ ხელშეკრულება ან ფლობენ დამზღვევის საკრედიტო ბარათებს, რომელთა საფუძველზე მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 80,000.00 (ოთხმოცი ათასი) ლარს, სიცოცხლის დაზღვევასთან მიმართებით არ იფარება/არ ანაზღაურდება სიცოცხლის დაზღვევით გათვალისწინებული გარდაცვალების მხოლოდ შემდეგი შემთხვევები:

ა. თუ მსესხებლის გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის ალკოჰოლური/ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან მსესხებელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

ბ. თუ მსესხებლის გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მსესხებლის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;

გ. თუ მსესხებლის გარდაცვალება შედეგია მსესხებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;

შენიშვნა:

კრიტიკული მდგომარეობები/დაავადებები:

- ინსულტი
- გულის შეტევა (ე.წ. ინფარქტი)
- მრავლობითი (მათ შორის, გაფანტული) სკლეროზი
- თირკმლის უკმარისობა 3
- შუნტირება
- ორგანოს გადანერგვა
- ავთვისებიანი სიმსივნე

➤ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის შეტყობინების, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები;

- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე ვალდებულია, დაუკავშირდეს 24 (ოცდაოთხი) საათიან ქოლ ცენტრს და შეტყობინება გააკეთოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ არაუმეტეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა.
- ანაზღაურების მიღებაზე უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტებით:
 - დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაზღვეულის დაბადების და გარდაცვალების თარიღი, ასევე გარდაცვალების ადგილი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ინფორმაცია);
 - სამედიცინო ცნობა დაზღვეულის გარდაცვალების (სიკვდილის) შესახებ;
 - შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხდარის შესახებ; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);
 - მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს დაზღვეულის

გარდაცვალების მიზეზს, თუ დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია არა უბედური შემთხვევით; უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა;

- კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.
- ანაზღაურება გაიცემა ყველა ზემოხსენებული დოკუმენტების მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.
- შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

➤ სიცოცხლის დაზღვევის დაფარვის შეწყვეტა

მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის დაფარვა შეწყდება:

- კონკრეტული სადაზღვევო პერიოდის დასრულებისას;
- მას შემდეგ, რაც მსესხებელს შეუსრულდა 70 წელი;
- მას შემდეგ, რაც მოხდება სესხის სრულად დაფარვა;
- თუ დამზღვევი აღარ იხდის პრემიას;
- მსესხებლის გარდაცვალების შემთხვევაში.

დაფარვის შეწყვეტის შემდეგ, მისი აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ მზღვეველის თანხმობის საფუძველზე.

II ნაწილი: მსესხებლის ქონების დაზღვევა

- დაზღვევას ექვემდებარება დამზღვევსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საგანი, რომელიც წარმოადგენს მის და/ან მესამე პირის საკუთრებაში ან მართლობიერ სარგებლობაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც მდებარეობს დაზღვევის ტერიტორიაზე.
- დაზღვევის ობიექტები შეიძლება იყოს:
 - ა) შენობა - საწარმოო, ადმინისტრაციული, სოციალურ-კულტურული დანიშნულების და საზოგადოებრივი მოხმარების შენობა-ნაგებობები;

ბ) ცალკეული ფართი შენობაში - ბინები, ოთახები, კაბინეტები, ოფისები, საამქროს ლაბორატორიები და სხვა;

გ) სამეურნეო ნაგებობები - ავტოფარეხები, საწყობები, საცავები;

შენიშვნა: დაზღვევის ობიექტი ვერ იქნება ობიექტში არსებული რემონტი, ინვენტარი, ინტერიერის ნაწილები და ა.შ. დაზღვევის ობიექტი არის მხოლოდ კარკასი/კონსტრუქცია.

➤ დაზღვევას არ ექვემდებარება და შესაბამისად, მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი შემდეგი სახის ქონების დაზიანებაზე:

ა) ფული, ქვითრები, მარკები, ობლიგაციები, ფასიანი ქაღალდები, საკრედიტო ბარათები, ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები, ძვირფასი მეტალები, ძვირფასი ბეწვეული, იშვიათი და ექსკლუზიური ნივთები, იშვიათი წიგნები ან ხელოვნების ნიმუშები, მედლები, დოკუმენტები თუ ისინი სპეციალურად არ არის მითითებული დაზღვევის პოლისში და იზღვევა მხოლოდ შემდეგი რისკებისაგან: ხანძარი, მეხის დაცემა, აფეთქება, საჰაერო ხომალდის ან მისი ნაწილების დაცემა, შეჯახება, მიწისძვრა, ქარიშხალი, წყალდიდობა, ვულკანის ამოხეთქვა, წყლის გადმოდინება, წყლის გამოჟონვა აპარატებიდან ან მილებიდან.

ბ) მინა, ფაიფურის, ფაიანსის, მარმარილოს ან სხვა ადვილად მსხვრევადი ნივთები.

გ) ნდობით ან კომისიაზე მიღებული საქონელი, დოკუმენტები, მანუსკრიპტები, საქმიანი წიგნები, კომპიუტერული სისტემები, ჩანაწერები, ნახაზები, ფორმები, ყალიბები, გეგმები, დიზაინი, ასაფეთქებლები თუ სპეციალურად არ იქნებიან მითითებული სადაზღვევო პოლისში.

დ) სავაჭრო ავტომატები, ბანკომატები, ფულის გადამცვლელი ავტომატები და მათი შიგთავსი (გარდა პოლისში მითითებული დამატებითი პირობებით გათვალისწინებული დაზღვევისა);

ე) კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები;

ვ) გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

ზ) ნავთობქიმიური რისკები (ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები);

თ) ატომური რისკები;

ი) ცხოველები, მსხვილფეხა რქოსანი, წმინდასისხლის ცხოველები, შინაური ფრინველი;

კ) ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ლიცენზირებული საგზაო ტრანსპორტი (თავისი აქსესუარებით), ფურგონი, ტრაილერი, მისაბმელები, რკინიგზის ლოკომოტივები, საწყლო ხომალდები, თვითმფრინავი, კოსმოსური ხომალდი ან სხვა მსგავსი.

ლ) გადაზიდვაში მყოფი ქონება, გარდა პოლისით განსაზღვრული დაზღვეული შენობის ფარგლებში გადაზიდვებისა;

მ) დანგრევის/აშენების ან მონტაჟის პროცესში მყოფი ქონება ან/და ამასთან დაკავშირებული ნივთები ან მასალები;

ნ) მიწა (მათ შორის ნიადაგის ზედაპირი, სადრენაჟო არხი, წყლის გამტარი მილი) გზა, ტროტუარი, ბილიკები, ასევე (თუ პოლისით სპეციფიკურად არ არის დაზღვეული)-სარკინიგზო ხაზები, დამბა და რეზერვუარი, არხები, ჭაბურღილი, ჭები, მილსადენები, გვირაბები, ხიდები, დოკები, დამბა, ქვაბულები, ნავმისადგომი, მაღაროები, მიწისქვეშა ქონება;

ო) ცოცხალი საქონელი, მარცვლეული კულტურა და ხეები; 5

პ) ქონება, რომელიც დაზიანდა მასზე ზემოქმედების პროცესში (მაგ: სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას);

ჟ) მანქანა-დანადგარები ინსტალაციის, გადატანის ან გადაადგილების, მოხსნის (დემონტაჟი და მონტაჟი) ან გადაკეთების პროცესში, თუ ეს პროცესი უშუალოდ მოქმედებს მათზე;

რ) დასაზღვევი ობიექტი მდებარეობს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ადგილას;

ს) თუ შენობა-ნაგებობები და მასში არსებული სხვა ქონება იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში.

ტ) ავეჯი, საყოფაცხოვრებო და/ან ელექტორული ტექნიკა და ნებისმიერი ინტერიერის ნივთი.

➤ დაფარული რისკები

შენიშვნა: დამზღვევის მიერ შესაძლებელია შეირჩეს ერთი ან/და რამდენიმე/ყველა დაფარვა. თითოეული დაფარვისთვის/რისკისთვის გამონაკლისები, რომელიც არ ექვემდებარება ანაზღაურებას და შემთხვევები, რომელიც არ განიხილება სადაზღვევო შემთხვევად წარმოდგენილია თითოეულ დაფარვაში, შესაბამისი რისკის ქვეშ.

დაფარვა A:

- ხანძარი - ხანძარში, წინამდებარე პირობებზე დაყრდნობით, იგულისხმება დამოუკიდებლად გავრცელების უნარის მქონე ცეცხლი, რომელიც თავისით ვრცელდება ცეცხლის დანთებისათვის განკუთვნილი ადგილის ფარგლებს გარეთ;

ხანძრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია ხანძრის დაწყებიდან 48 საათის განმავლობაში.

გამონაკლისი:

ხანძრის შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება დაზღვეული ქონების განადგურება ან დაზიანება დამდგარი თავისი ბუნებრივი ფერმენტაციით ან გათბობით ან/და თავისი მიმდინარე პროცესებით რომელშიც შედის სითბოს გამოყენება; ასევე ხანძარი გამოწვეული მიწისძვრის ან მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედებით.

- მეხის დაცემა - ბუნებრივი გიგანტური ატმოსფერული განმუხტვა ატმოსფეროში, რომელსაც თან სდევს ქუხილი
- აფეთქება

გამონაკლისი:

აფეთქების შედეგად დამგარი ზიანისას სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება განადგურება ან აფეთქება ბოილერის (გარდა ბოილერებისა, რომელიც გამოიყენება საშინაო მიზნებისათვის), ეკონომიზერის, ან სხვა ხომალდის, მანქანა-დანადგარის, ან აპარატურის, რომელშიც ორთქლის შედეგად არის შიდა წნევა, და ექვემდებარება დამზღვევის/დაზღვეულის კონტროლს;

- საჰაერო ხომალდის ან მათი ნაწილების დაცემა - იგულისხმება საჰაერო ხომალდიდან, ან მფრინავი ობიექტებიდან ჩამოვარდნილი მოწყობილობები ან ნაწილები.

დაფარვა B:

- შტორმი, ქარიშხალი, გრიგალი - ამინდთან დაკავშირებული ჰაერის მოძრაობა, რომლის სისწრაფეც, დაზღვეულ მისამართზე აჭარბებს 60 კმ/სთ. ასევე იფარება ასეთი ქარიშხლით გამოწვეული საგნების შეჯახება ან ვარდნა დაზღვეულ ობიექტზე;

შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის, შემთხვევაში ერთ სადაზღვევო შემთხვევად განიხილება შტორმი, ქარიშხალი, გრიგალის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში.

გამონაკლისი:

სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება:

ა) სადრენაჟო სისტემების არასწორი შენახვით ან/და ექსპლუატაციით დამდგარი ზიანი ან განადგურება;

ბ) ქარით გამოწვეული ან მის გარეშე წვიმით დამდგარი ზიანი ან განადგურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული შენობის ან ქონების სახურავი ან კედლები ჯერ

დაზიანდება შტორმის, ქარიშხლის ან გრიგალის შედეგად, და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოიქმნება მზღვეველის პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, რომელიც მიადგან

დაზღვეულ ქონებას შტორმის, ქარიშხლის ან გრიგალის უშუალო ზემოქმედებით დაზიანებული ჭერიდან ან კედლებიდან წვიმის შეღწევით;

გ) შენობაზე ან მის შიგთავსზე დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, თუ ასეთი ზიანის ან დანაკარგის დადგომის მომენტისათვის შენობა იყო უკვე დაზიანებული, დეფექტურ მდგომარეობაში, დაცემული ან იყო გადაადგილებული, რაც ასევე შეეხება საძირკველს, კედლებს, ჭერს, სახურავს, წყალსაწრეტს, სახურავზე დამონტაჟებულ ფანჯრებს;

დ) სახელმწიფო ან საჯარო დაწესებულების განკარგულებით ან მოქმედებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;

▪ წყალდიდობა, სეტყვა

ა) წყალდიდობა - დაზღვეულ ობიექტში წყლის შეღწევა გარედან, ისეთი ზედაპირის დატბორვის შედეგად, რომელიც ჩვეულებრივ არ არის დაფარული წყლით და გამოწვეულია: არაჩვეულებრივად მაღალი ტალღით, ტაიფუნით, ქარიშხლით, გრიგალით ან ციკლონით, მდინარეების, რეზერვუარების, არხების და ა.შ. გადმოღინებით ან გახეთქვით.

წყალდიდობის შემთხვევაში ერთ სადაზღვევო შემთხვევად განიხლება წყალდიდობის დაწყებიდან 168 საათის განმავლობაში.

ბ) სეტყვა - ბუნებრივი ნალექი გამოხატული ყინულის მარცვლების ფორმით.

სეტყვის გამონაკლისები:

დაზღვევით არ იფარება

- მშენებარე შენობები და მათში მდებარე ნივთები;
- ქონება, რომელიც ინახება გარეთ ან მიმაგრებულია შენობის გარეთა მხარეს (სარეკლამო ნიშნები, ანტენები, ანძები, განათებები და ა.შ.);
- ნაგებობები, კარვები, რომლებიც არ არის დახურული ყველა მხრიდან ან მათში მდებარე ქონება;
- შეკიდული ჭერი, ტრიბუნები, ყველა სახის შემინვა.
- შენობაზე, ნაგებობაზე ან მის შიგთავსზე დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, თუ ზიანის ან დანაკარგის დადგომის მომენტისათვის შენობა იყო უკვე დაზიანებული, დეფექტურ მდგომარეობაში, ან იყო გადაადგილებული.
- შენობის ცუდი მდგომარეობით ან ქონების არასწორი გამოყენებით გამოწვეული ზიანი.

წყალდიდობისა და სეტყვის საერთო გამონაკლისები:

წყალდიდობა და/ან სეტყვის შედეგად დამგარი ზიანისას სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება:

- ა) სადრენაჟო სისტემის არასწორი შენახვის ან არასწორი სარგებლობის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;
- ბ) ზიანი ან დანაკარგი დამდგარი ღია ადგილას მდებარე შემდეგი სახის ქონებაზე: საქონელი მდებარე ღია ადგილზე, დრენაჟებზე, წყლის გაყვანილობებზე, ზღვრულ კედლებზე, ბაღის კედლებზე, საყრდენ კედლებზე, ჭიშკრებზე, ბოძებზე, ღობეებზე, სატრანსპორტო გზებზე, სასიარულო ბილიკებსა და დაშენებებზე;
- გ) ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული ქვაბებიდან, მილებიდან და სხვა წყლის აპარატურიდან წყლის გადმოდინებით, გახეთქვით ან გამოჟონვით. ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული წყალსაწრეტებიდან ან დაკიდებული მილებიდან წყლის გადმოდინებით ან სახელმწიფო ან მუნიციპალური ჭაბურღილების გახეთქვით ან გადმოდინებით. ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული წყლის გაჟონვით, გამოსვლით ან შეღწევით სარდაფის კედლებში, მათ შორის კარებში, ფანჯრებში, და სხვა ღია ადგილებში, საძირკვლებში, მიწისქვეშა სართულებში და ბილიკებში, ან წყლით რომელიც გამოვიდა კანალიზაციის მილებიდან, სადრენაჟო მილებიდან: უხვი წყლით მიყენებული ზიანი ან დანაკარგი თუ პირდაპირ წყალდიდობის შედეგად არ არის დამდგარი;
- დ) სახელმწიფოს ან სახელისუფლებო ორგანოს განკარგულებით ან ამდაგვარის შედეგად დამდგარი ზიანი ან დანაკარგი;
- ე) ნებისმიერი სახის არაპირდაპირი ზიანი.

- გრუნტის დაჯდომა; მეწყერი, ზვავი; თოვლის ჩამოწოლა

გამონაკლისები:

დაზღვევით არ დაიფარება შემდეგი შემთხვევები

- ბუნებრივად გაჩენილი ბზარები, დაჯდომები
- მყარი ნიადაგის დაჯდომა ან მოძრაობა
- სანაპიროს ან მდინარის ზოლის ეროზია
- ზიანი ან დანაკარგი გამოწვეული დეფექტური დიზაინით, ხელობით ან დეფექტური მასალის გამოყენებით

- ზიანი ან დანაკარგი გამოწვეული დანგრევით, აშენებით, ნებისმიერი ქონების, მიწის სამუშაოების ან მიწის სათხრელი სამუშაოების სტრუქტურული ცვლილებებით ან შეკეთებით

დაფარვა C

- წყალგაყვანილობის და სადრენაჟო სისტემიდან გამონადენი წყლით დაზიანება
- წყლის, ზეთის ან ნავთობის ქვაბებიდან ან მილებიდან ამოხეთქვა ან გამოჟონვა

დაფარვა C-ს გამონაკლისები:

სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება შემთხვევები, რომელიც შედეგია:

- დაზღვეულ შენობებზე ჩატარებული შეკეთების სამუშაოების ან ცვლილებების;
- სპრინკლერების სიტემების შეკეთების, ამოღების ან გაფართოების;
- მშენებლობაში არსებული დეფექტების, რომელიც დაზღვევისთვის დაზღვევის მომენტში ცნობილია.
- ზიანი, რომელიც დადგა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე, მაშინაც კი თუ მათი აღმოჩენა მოხდა მხოლოდ სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდეგ.

დაფარვა D

- მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედება

წინამდებარე დაზღვევით დაიფარება მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედება პირდაპირ რეგისტრირებული მიწისძვრის ბიძგით, ხანძრით პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული რეგისტრირებული მიწისძვრის დარტყმით.

მიწისძვრის შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვა ძალაშია მიწისძვრის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში.

გამონაკლისი:

მიწისძვრა და მიწისქვეშა ცეცხლის მოქმედების შედეგად დამგარი ზიანისას, სადაზღვევო შემთხვევად არ განიხილება სახელმწიფოს, მუნიციპალური ან ადგილობრივი ორგანის მიერ გამიზნული განადგურებით გამოწვეული ყველანაირი შედეგობრივი ზარალი ან დანაკარგი.

დაფარვა E

- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება - რომელიც მიმართულია დაზღვეული ქონების დაზიანების ან განადგურებისაკენ.

გამონაკლისები:

დაზღვევას არ ექვემდებარება ზარალი, რომელიც გამოწვეულია აჯანყების, გაფიცვის, სამოქალაქო მღელვარებისა და ლოკალური დათხოვნილი მუშაკების ქმედების შედეგად.

დაზღვევით არ იფარება ზიანი, რომელიც მიადგა მინას.

- შეჯახება

წინამდებარე დაზღვევით იფარება: შეჯახება საგზაო, სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით ან ცხოველით, რომელიც არ ეკუთვნის დამზღვევს ან მის დაქირავებულ პირს და მათ კონტროლს არ ექვემდებარება.

➤ **ზოგადი გამონაკლისები ყველა დაფარვისთვის**

დაზღვევით არ იფარება ზარალი, რომელიც დადგა ან შედეგია:

ა) დეფექტური ან დაზიანებული მასალისაგან ან ხელობისათვის დამახასიათებელი ფარული ნაკლით, პერმანენტული გაუარესებით, ბუნებრივი ცვლით, დეფორმაციით.

ბ) გაფიცვა ან სამოქალაქო მღელვარება, თუ დაზღვევის პოლისით არ არის განსაზღვრული.

გ) ტერორიზმის, ომის, საომარი მოქმედებების, მტრული მოქმედებების (მნიშვნელობა არა აქვს ომი გამოცხადებულია თუ არა ოფიციალურად) - სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უზურპირებული ძალაუფლება.

დ) რადიაციის ან რადიოაქტიური დაბინძურებით.

ე) რადიოაქტიური, ტოქსიკური ფეთქებადი და სხვა საშიში ნივთიერებებით.

ვ) დამზღვევის ან მსესხებლის და/ან მათთან დაკავშირებული პირ(ებ)ის განზრახი ქმედებით, უბეში გაუფრთხილებლობით ან დაუდევრობით.

ზ) ზიანი და დანაკარგი გამოწვეული პირდაპირ ან არაპირდაპირ დამზღვევის/დაზღვეულის ან მისი უფლებამოსილი პირის ქმედებით.

თ) ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;

ი) მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ;

კ) ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი; ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულის, ზოდის, ქვიშის, თვითნაზადი

სახით და ძვირფასი ქვები დამუშავების და მოჭედვის გარეშე; ანტიკვარიატი, მათ შორის ავეჯი, რომლის ასაკი აღემატება 50 წელს, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების, და სხვა სახის კოლექცია, ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;

ლ) კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები (დისკები, კასეტები, მეხსიერების ბარათები და ა.შ.);

მ) საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები; გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;

ნ) ცხოველები; ფრინველები; ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები; ავტოსატრანსპორტო საშუალებები;

ო) ანძები, ანტენები, ღია ელექტრომაგთულები, ტენტები და სხვა შენობა/ ნაგებობის გარეთა მხარეს მდებარე ქონება (აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება შენობა ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა/გაგრილების სისტემებს);

პ) კვების პროდუქტები;

ჟ) ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის დაზღვევს და არ არის მითითებული პოლისი - ხელშეკრულების შესაბამის დანართში;

რ) დაზღვეულად არ ჩაითვლება ის შენობები და ნაგებობები, ასევე იქ განთავსებული ქონება თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად;

ს) ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით; ავტო-ფარები, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;

ტ) მხატვრულად დამუშავებული მინები;

უ) საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელთა ასაკი აღემატება 8 წელს;

ფ) ისეთი ქონებისათვის, რომელიც განთავსებულია შენობაში, რომლის აშენების წელი არის 1955 წელი ან მეტი, არ ანაზღაურდება:

- მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;
- კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;

- სტიქიური უბედურებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.
- ქ) ზიანი, დანაკარგი ან პასუხისმგებლობა, რომელიც დადგა დამზღვევის ან მისი კონტრაქტორის მიერ სამშენებლო ან/და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს დაზღვეულ შენობაზე;
- ღ) ზარალი ან დანაკარგი გამოწვეული დაზიანებებით (თუ სხვაგვარად არ არის დაშვებული გამონაკლისი), გარდა იმ შემთხვევისა:
 - თუ დაზიანება გამოწვეულია მოულოდნელად, დაზღვეული შემთხვევის შედეგად;
 - დაზიანებების შედეგად დამდგარი ისეთი შემთხვევა/რისკი, რომელიც წინამდებარე დაზღვევით დაზღვეულია.
- ყ) ყველანაირი შედეგობრივი ზიანი ან დანაკარგი, მათ შორის და არა მხოლოდ: შემოსავლების დაკარგვა, დანაკარგი გამოწვეული დაგვიანებით, დანაკარგი გამოწვეული ბაზრის წილის დაკარგვით.
- შ) ანაზღაურებას არ ექვემდებარება ქმედება, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მზღვეველს უფლებამოსილებას ანიჭებს უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურებაზე.
- ჩ) ხარჯები რომელიც დაკავშირებულია: არქიტექტორების, ექსპერტების, ინჟინერ კონსულტანტების მოწვევასთან, ნარჩენებისგან გასაფუთავებასთან, რომელიც შესაძლოა მოყვეს სადაზღვევო შემთხვევას
- ც) სამაცივრე საწყობებში შენახულ მარაგებზე დამდგარი ზიანი, რომელიც გამოიწვია ტემპერატურის ცვლილებამ.
- ძ) საქონლის გაფუჭებით დამდგარი ზიანი ან დანაკარგი, რომელიც შესაძლოა შედეგი იყოს ნებისმიერი პროცესის შეფერხების, შეჩერების, შეწყვეტის, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოხდა თუ არა დაზღვეული რისკის შედეგად.
- წ) დაზღვეული ქონების შიდა სარემონტო-სამუშაოების ხარჯები.

დაზღვევის პერიოდში დაზღვეული შენობ(ებ)ის 6 კვირის მიტოვების შემთხვევაში დაზღვევა ჩაითვლება შეწყვეტილად, სანამ შენობ(ებ)ი დაუკავებელი იქნება, თუ სპეციალურად სხვა რამ არ შეთანხმდება.

➤ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის შეტყობინების, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები;

- სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტის თაობაზე დამზღვევი ატყობინებს მზღვეველს ცხელ ხაზზე 2 921 921 სატელეფონო შეტყობინების დატოვებით, არაუგვიანეს

შემთხვევის დადგომიდან 24 საათისა, ხოლო არაუგვიანეს მომდევნო 2 (ორი) სამუშაო დღისა, წარუდგენს მზღვეველს წერილობითი განაცხადს ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით.

• შემთხვევის დადგომიდან 30 დღის განმავლობაში მზღვეველს მიეწოდება შემდეგი სახის ინფორმაცია/დოკუმენტაცია:

- წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ზარალის დეტალურ აღწერას, დაზიანებული/დაკარგული ნივთების, მათი ღირებულებების და ზიანის საერთო ოდენობის მითითებით, ასევე დაზიანებული/განადგურებული ქონების ფოტომასალა. გათვალისწინებული უნდა იქნას დაზიანებული ქონების ღირებულება ზარალის დადგომის მომენტში.
- დეტალური ინფორმაცია ორმაგი დაზღვევის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- დამზღვევი თავის ხარჯზე აწვდის მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველაწარმოადგენელ დეტალებს, გეგმებს, სპეციფიკას, ანგარიშებს, ასლებს, დოკუმენტებს, დამამტკიცებელს საბუთებს და ყველაწარმოადგენელ ინფორმაციას და მასალას მოთხოვნასთან დაკავშირებით. ასევე ზარალის მიზეზს და გარემოებას, რომელშიც დადგა ზარალი, ასევე ყველა იმ ინფორმაციას, დოკუმენტაციას და მასალას, რაც ეხება ზარალის ანაზღაურების მოთხოვნას და რაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მზღვეველის მიერ.
- ასევე, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას:
- ხანძრის, აფეთქების, მეხის დაცემისას - სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო დეპარტამენტის დასკვნა;
- წყალმომარაგების, გათბობის, კანალიზაციის ან ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების აფეთქების ან ავარიის დროს - შესაბამისი სახელმწიფო საავარიო ორგანოების დასკვნა;
- სტიქიური უბედურებისას - საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის მოწმობა (ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა);
- ყველა შემთხვევაში და ყველა დაფარვისთვის ზარალის გამომწვევი გარემოებების გამოძიებაში შსს (შინაგან საქმეთა სამინისტრო), პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მონაწილეობისას - წერილობითი შეტყობინება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დაწყების/მიმდინარეობის, ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

- სხვა შესაბამისი ცნობები, დასკვნები, შეფასებები, ნებისმიერი სხვა დოკუმენტაცია და მასალა, გამომდინარე სადაზღვევო შემთხვევის სპეციფიკიდან.
- დოკუმენტაციის ჩამონათვალი შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევებში დაზუსტდეს (დამატებით იქნას მოთხოვნილი სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის დადგენის მიზნით) „მზღვეველის“ მიერ, რის შესახებაც წერილობით ეცნობოს დამზღვევს;

შენიშვნა: ზიანის დადგომის თაობაზე მხოლოდ ზეპირი შეტყობინება არ ჩაითვლება საკმარისად ზიანის დადგომის ფაქტის დაფიქსირებისათვის. თუ დამზღვევი (ან მისი მხრიდან სხვა უფლებამოსილი პირი) ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში არ წარადგენს საქმის წარმართვისათვის აუცილებელ დოკუმენტებს, მზღვეველი იტოვებს უფლებას მიღებული შეტყობინება ზარალის დადგომის თაობაზე ცნოს არარსებულად.

- ვადა, ზიანის ოდენობის განსაზღვრა და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

ვადა:

სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვევის ყველა საჭირო მონაცემის განსაზღვრის, სადაზღვევო შემთხვევის ფაქტისა და ზიანის ოდენობის დადგენის, ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრის, სხვა ხელშეკრულებით დადგენილი პირობების დადგენის საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის აქტის ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა:

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვევის თითოეულ ობიექტზე სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

ზარალის სიდიდის განსაზღვრა:

ზარალის სიდიდე განისაზღვრება მზღვეველის მიერ, დაზღვეული ობიექტის დათვალიერების და კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული საბუთების საფუძველზე (საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის, ბუნების დაცვის, შესაბამისი სახანძრო სამსახურის, საავარიო სამსახურების, პოლიციის, საგამომიებო ორგანოების, სასამართლოს და სხვა);

სადაზღვევო ანაზღაურების ფარგლები:

- **ქონების სრული განადგურებისას** – მისი რეალური ღირებულების ფარგლებში, ნარჩენი ღირებულების (მიუხედავად მისი ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა) და ფრანშიზის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა;

ქონების სრული განადგურებისას მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ნარჩენი ქონების გამოკლების გარეშე, ასეთ შემთხვევაში მზღვეველზე გადადის საკუთრების უფლება ნარჩენ ქონებაზე, რომელიც მიიჩნევა მთლიანად განადგურებულად

- **ქონების ნაწილობრივი განადგურებისას** – ზარალის ოდენობა (აღსადგენად/ შავ კარკასულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო დანახარჯებს), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის მომენტში არსებულ კონკრეტული ქონების ღირებულებას, გამოკლებული ფრანშიზა.

შენიშვნა: დამზღვევმა/მოსარგებლემ არ შეიძლება უარი განაცხადოს ნარჩენ ქონებაზე, რომელიც გადარჩა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ, მიუხედავად მისი დაზიანების ხარისხისა, ვიზუალური მდგომარეობისა და სარეალიზაციო ფასისა, ნარჩენი ქონების ღირებულება გამოიქვითება ასანაზღაურებელი თანხიდან;

ქონება შეიძლება ჩაითვალოს სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯები მისი რემონტისათვის და აღდგენისათვის, აღემატება სადაზღვევო თანხის 75%-ს;

შენიშვნა: დაზიანებული (განადგურებული) ქონების შენახვის/დაცვის ხარჯები, რომელსაც იხდის დამზღვევი, არ შედის მზღვეველის მხრიდან გასაცემ ასანაზღაურებელ თანხაში და მზღვეველი ამ დანახარჯებს არ ანაზღაურებს.

დანახარჯები აღდგენაზე შეიცავს:

დანახარჯებს, რომელიც საჭიროა მასალების ადგილამდე მისატანად, სხვა დანახარჯებს გაწეულს უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად, რაც არ მოიცავს შიდა სარემონტო სამუშაოების ხარჯებს;

დანახარჯები აღდგენაზე არ შეიცავს:

- ა) დამატებით დანახარჯებს, გამოწვეულს დაზღვეული ობიექტის ცვლილებით ან გაუმჯობესებით;
- ბ) დანახარჯებს გადარჩენაზე, პროფილაქტიკურ, დროებით, დამხმარე რემონტზე და აღდგენაზე;

- გ) სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია საჭიროზე მეტი ოდენობით.
- დ) სტიქიური უბედურების დროს დამატებით დასუფთავების ხარჯებს (თუ ასეთი დათქმა პოლისით დამატებით არ არის განსაზღვრული).

სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა:

- ა) თუ დამზღვევმა არ განაცხადა მომხდარის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში, შემთხვევა კი ამას მოითხოვდა, ან შემთხვევის ფაქტი კომპეტენტური ორგანოების მიერ არ დასტურდება;
- ბ) თუ დამზღვევმა, ჰქონდა რა ამის საშუალება, განსაზღვრულ ვადაში, წერილობით არ განუცხადა მზღვეველს ზიანის დადგომის შესახებ, ან თუ მის მიერ მითითებული ფაქტები სწორი არაა ან არ მიაწოდა სრულად მის ხელთ არსებული ინფორმაცია;
- გ) თუ დამზღვევმა შემთხვევის დადგომამდე არ განუცხადა მზღვეველს ქონების ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შესახებ ან ქონების დაზღვევის განაცხადში მითითებული მონაცემები სინამდვილეს არ შეესაბამება;
- დ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულებით (პოლისით) ან/და ამ პირობებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

III ნაწილი: პრეტენზია; საზედამხედველო ორგანო;

➤ პრეტენზიის წარდგენა

- ზეპირი ფორმით, ცხელი ხაზის საშუალებით ნომერზე: +995 322 921 921;
 - ელექტრონულ ფორმით, შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: insurance.customer@bb.ge
 - წერილობითი განცხადების წარდგენის გზით მისამართზე: საქართველო, თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #1
- ზეპირი პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, მზღვეველის მიერ პასუხი დაფიქსირდება ზეპირად;
- დამზღვევს უფლება აქვს საპრეტენზიო ფორმის შევსების გზით მიმართოს მისი პრეტენზიით წერილობით მზღვეველის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას;
- წერილობითი პრეტენზიის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში მზღვეველი უზუარუნველყოფს დამზღვევისთვის წერილობითი დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხის გაცემას გამოხატულ პრეტენზიაზე. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პრეტენზიის განხილვისთვის საჭიროა დამატებითი

დოკუმენტების წარმოდგენა (რაზეც ხელი არ მიუწვდება მზღვეველს), იგი წერილობით მიმართვას დამზღვევს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით.

➤ მზღვეველის საზედამხებდველო ორგანო

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხებდველობის სამსახური

მისამართი: თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3 საქართველო, 0162

ტელ: +995 32 223 44 10

ელ-ფოსტა: info@insurance.gov.ge ; მხოლოდ წერილობითი კორესპონდენციისთვის: letters@insurance.gov.ge

ვებ-გვერდი: www.insurance.gov.ge